ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 74

"27" მარტი 2015 წ.

ქ. თბილისი

ა(ა)იპ ქ.თბილისის მერიის მ. გეგელიას სახელობის ტანვარჯიშის სახეობათა აკრობატიკის სპორტული ცენტრის" და ა(ა)იპ „ქ.თბილისის მერიის გ. ეგნატაშვილის სახელობის ტანვარჯიშის სახეობათა ოლიმპიური მზადების სპორტული ცენტრის " რეორგანიზაციისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ „ ტანვარჯიშის განვითარების სპორტული ცენტრის" შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 64-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ" და „ლ" ქვეპუნქტების, 75-ე მუხლის „დ.ბ" ქვეპუნქტის, „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-14[4] მუხლისა და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 18 მარტის N11.16.277 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას ა(ა)იპ „ქ.თბილისის მერიის მ. გეგელიას სახელობის ტანვარჯიშის სახეობათა აკრობატიკის სპორტული ცენტრის" და ა(ა)იპ „ქ. თბილისის მერიის გ. ეგნატაშვილის სახელობის ტანვარჯიშის სახეობათა ოლიმპიური მზადების სპორტული ცენტრის" რეორგანიზაციის (შერწყმის/გაერთიანების) შედეგად ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ „ტანვარჯიშის განვითარების სპორტული ცენტრის" შექმნის თაობაზე.

2. განკარგულება, კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი